# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— ორშაბათი, 21 აგვისტო 1900 წ. № 1216

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

## „ცნობის ფურცლის“

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.


## რედაქციისაგან

გვაახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლის“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ**; წინააღმდეგ შემთხვევაში **სექტემბრიდან ჟურნალის** და **გაზეთის გაგზავნა მოუსპობათ.**

## ახალი ამბავი

✦ უმაღლესს მთავრობას გარდაუწყვეტია რამდენიმე წლით გადასდვას გარდასახადისა და ნედოიმკების გარდახდა ბაზალეთის **საზოგადოების** (დუშეთის მაზრა) მცხოვრებთათვის, რადგანაც უკანასკნელნი მეტად დააზარალა 1898 და 1899 წლების მოუსავლობამ.

✦ მთავრობას დაუმტკიცებია ქუთაისის გუბერნიის სამაზრო **გარდასახადთა საკრებულოებში** თავად-აზნაურთა წარმომადგენლებად შემდეგნი პირნი: ქუთაისის მაზრის საკრებულოში—პოდპოლკოვნიკი თავ. გ. მიქელაძე, შორაპნის მაზრისა—თავ. გ. დ. წერეთელი, ოზურგეთის—გ. ჯაყელი, სენაკის—პოლკოვნიკი თავადი ო. დადიანი, რაჭისა—თავ. დ. ა. ყიფიანი, ზუგდიდისა—შტაბს-კაპიტ. თავ. ლ. ჩიჩუა, ლეჩხუმისა—თავ. ე. გ. გელოვანი, სოხუმის ოლქის—თავ. ი. გ. შერვაშიძე, ბათუმის—ი. მ. ვორონკოვი დაართვინის—პოდპოლკოვნიკი ნური-ბეგ-ხიმშიაშვილი.

✦ „ნოვ. ობოზ.“-ის სიტყვით, ტფილისის სახაზინო პალატის გამგეთ ბ. ვერეტენნიკოვის მაგიერ გადმოჰყავთ ეკატერინოსლავის სახაზინო პალატის გამგე ბ. **მიხალოვი**.

✦ მომავალ წლიდან კავკასიაშიაც შემოღებულ იქმნება ახალი **სააფთიაქო ნიხრი**. ამ ნიხრით შესამჩნევად დაკლებულია წამლების ფასი.

✦ გორის მაზრის სოფლებში—ბნავისში და ხიდისთავში **საქონლის ჭირი** გაჩენილა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**19 აგვისტო**

**პეტერბურგი.** გენერალი გროდეკოვი იტყობინება, რომ 15 აგვისტოს ნიკოლსკის რაზმმა უკუაგდო მტერი მუდანძიანის მარჯვენა ნაპირიდან და წაართვა მას ოთხი ზარბაზანი. 16 აგვისტოს რაზმი გადავიდა მდინარე მუდანძიანზე და დაიპყრო ნინგუტუ. დაიწყო მტრის დევნა; ნინგუტუ და მიდამოები უენებლად არიან. მცხოვრებნი უკანვე ბრუნდებიან. 15 აგვისტოს გენ. რენენკამფმა დაიპყრო 460 ყაზახით და ბატარეით ციციკარი. შეუსცზიან-ცუნი, რომელიც ამ ერთი თვის წინად კვეხულობდა, ხაბაროვსკს გადავწვავო, გაიქცა. 16 აგვისტოს გაიგზავნა რაზმები გენ. ორლოვის ბანაკისაკენ. რენენკამფის ქვეითა ჯარის მოსვლის შემდეგ მტერს დაეცემიან ზურგიდან. მანჯურიის რკინის გზის უმთავრესი ლიანდაგი ჩვენს ხელშია.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ შანჰაიდან, რომ შაოშიაოს და ხეიუდკუს პროვინციების მმართველებმა იმპერატორისაგან ბრძანება მიიღეს გამოიძიონ იანცზეს პროვინციის მმართველების მოქმედება. ისინი უკვე გაემგზავრნენ პაოტინფუში. თუ ეს მართალი გამოდგა, მეტად საყურადღებო გარემოება ჩნდება, რადგანაც ორივე ზემოხსენებული მმართველი დღემდის ერთგულნი იყვნენ დედოფლისა.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, რომ იაპონიის ჯარები მიდიან ამოიდან, რადგანაც ჩინეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მცხოვრებნი უზრუნველ ყოფილნი იქმნებიანო.

**შანჰაი.** ამბობენ, რომ იმპერატორი და დედოფალი შენსის დედა ქალაქში ტაი-ნან-ფუში არიანო.

**კოპენჰაგენი.** ფინანსთა მინისტრი ვიტტე პარიზში წავიდა.

**ბერლინი.** გაზ. „ბერსენ კურიერ“-ში სწერენ, რომ რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ფრთხილი პოლიტიკა ადვილად შეაძლებინებს რუსეთს დაჰფაროს ჩინეთის ომით გამოწვეული ხარჯები იმ ფულებით, რომელიც წლიურ ბიუჯეტს გადარჩება ხოლმე. ამიტომ უსაფუძვლოა ხმა, ვითომც რუსეთი სესხის აღებას აპირებდეს. ფინანსთა მინისტრის ვიტტეს პარიზში წასვლა გამოწვეულია მხოლოდ გამოფენის ნახვის სურვილით.

**ნიუ-იორკი.** ლიხუნ-ჩანგმა გამოუგზავნა გაზეთ „ტრიბუნა“-ს შემდეგი დეპეშა: უცხოელთა ჯარების წაყვანა პეკინიდან გაადვილებს მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკებას. ეჭვს გარეშეა, რომ მე მხნედ ვეცდები აღვადგინო წესიერება, დავიცვა უცხოელები და დავსაჯო „დიდი მუშტის“ მომხრენიო“. ვაშინგტონში მყოფი ჩინეთის ელჩი ირწმუნება, რომ ლიხუნჩანგი აასრულებს თავის დანაპირებსო.

**20 აგვისტო**

**პეტერბურგი.** ელჩის გირსის დეპეშა: „პეკინი, 7 აგვისტო. აქ ხმა გავრცელდა თავად ცინის დანიშვნის შესახებ, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა. ალბად თავადს განძრახვა აქვს პეკინში დაბრუნდეს, მაგრამ შიშობს ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, სანამ ელჩები არ აღუთქვამენ რომ ხელს არ ახლებენ. ამის გამო პეკინში მყოფთ 10 წარჩინებულთ მიჰმართეს დიპლომატთა კორპუსს თხოვნით, რომ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, ნება თავადს ცინს მიეცეს პეკინში მოსალაპარაკებლად. აღკრძალულ სასახლეში ჯარები ჯერ არ შესულან. გამოაშკარავდა, რომ იქ ბოგდიხანი არ იმყოფება.“

**კინეშმა.** დაჭრილთა და ავადმყოფთა დამხმარებელმა ქალთა კომიტეტმა დაიწყო თვისი მოქმედება; ფაბრიკანტმა ბაკაკინმა დიდი-ძალი ტილო შესწირა.

**ვაშინგტონი.** ოფიციალურის მხრით არას ამბობენ კაბინეტის გუშინდელ ხანგრძლივ სხდომის შესახებ, მაგრამ საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამ სხდომაზე ლაპარაკი იყო რუსეთის რწმუნებულის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა ჯარები გაყვანილ იქმნენ პეკინიდან, რამწამს უცხოელთ მდგომარეობა უზრუნველ ყოფილ იქმნება. დიპლომატთა წრეებში ჰფიქრობენ, რომ ამერიკა მიიღებს ამ წინადადებას და ნოტით აცნობებს ამაზე სახელმწიფოთა, მაგრამ ამავე ნოტაში მოსთხოვს განმარტებას სახელმწიფოთა განზრახვის შესახებ მასზე, როგორ იქმნეს აღდგენილი წესი და რიგი ჩინეთში. კაბინეტი იმ აზრისაა, რომ ეს მიზანი უფრო ადვილად მისაღწევი იქმნება, როდესაც ჩინეთის საიმპერატორო სახლს ნება მიეცემა პეკინში დაბრუნებისა.

**ვაშინგტონი.** უცხოეთში მყოფ ამერიკის წარმომადგენლებს გაეგზავნათ ინსტრუქცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები მზად არიან გამოიყვანონ პეკინიდან ამერიკის ჯარები და ნება დართონ საიმპერატორო სახლს პეკინში დაბრუნდეს, რათა უკანასკნელს შეეძლოს მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს.

**ვაშინგტონი.** ამერიკის მთავრობამ აუწყა თავის წარმომადგენელთ უცხო სახელმწიფოებში, რუსეთის წარმომადგენელმა მთავრობას გადასცა ნოტაო, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადმირალების დადგენილების თანხმად ლიხუნჩანგს უნდა აეკრძალოს იქონიოს მიწერმოწერა ჩინეთის მთავრობასთან, ვიდრე ამის შესახებ პეკინის დიპლომატიური კორპუსის წევრი არ გამოსცემს ინსტრუქციას. რუსეთი ამ ზომის შესახებ გამოსთქვამს თავის გაკვირვებას და მას ამაში ეთანხმება ამერიკაც, რომელიც თავისი მხრით აცხადებს, რომ ლიხუნჩანგი, ერთად-ერთი წარმომადგენელია ჩინეთის მთავრობისა, რომელთანაც შესაძლებელია სახელმწიფოებმა მიწერ-მოწერა იქონიონ და ამიტომ მას უნდა მიეცეს თავისუფლება, რათა შეეძლოს იქონიოს მიწერ მოწერა მთავრობასთან და ჩინეთის ჯარების უფროსებთან. ამერიკის წარმომადგენლებს გაეგზავნათ ამ შინარსიის ინსტრუქციები და აგრეთვე დაევალათ შეიტყონ ამ საგნის შესახებ აზრი დანარჩენ სახელმწიფოთა.

**ვაშინგტონი.** ზოგიერთ დიდ ამერიკელ გაზეთს გაუგია, რომ შეერთებულ შტატების მთავრობას გადაჭრით არ გამოუცხადებია თანხმობა რუსეთის წინადადებაზე უცხოელთა ელჩების ტიანცზინში გაგზავნის შესახებ და ურჩევენ მთავრობას თანხმობა გამოაცხადოს უთუოდ ამ საგანზე. გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდის“ აზრით საგანი, რომელიც შეერთებულ შტატებს აქვს სახეში, იმდენად ფართოა და რთულია, რომ შესაძლებელია პეკინი დაპყრობილ იქმნას უცხოელთა ჯარებით რამდენიმე წლით, მაგრამ ეს გარემოება სარგებლობას მოუტანს მხოლოდ რკინის გზების კონცესიონერებს, ბანკირებს და მისსიონერებს და არა ამერიკის ერს, რომელიც თანაგრძნობით მიეგებება ახლანდელ კრიზისის მოსპობას.

**მარიენბადი.** შაჰი მოვიდა სამის კვირით.

**ამოი.** აქედან და კულანჯუდან წაყვანილ იქმნა იაპონიის დესანტის რაზმი; გაშვებულ იქმნა მხოლოდ სადარაჯოდ 80 კაცი.

**გლასგო.** დღეს მიიღეს მეცამეტე საეჭვო ჭირით ავადმყოფი; საავადმყოფოში ეხლა 83 კაცი არის ექიმების ხელში. დედაკაცი, რომელიც პირველად გახდა ავად, რჩება. გვამი ორივე ჭირისაგან მომკვდარ ავადმყოფისა დასწვეს კათოლიკეთა სამღვდელოების ნება დართვით. საბაჟო კომისია არ აძლევს მიმავალ გემებს წმინდა სანიტარულ მოწმობათა. ადგილი, სადაც ჭირი გაჩნდა, ცნობილია საშიშრად სანიტარულის მხრივ. ყველა სახლებს დეზინფექცია უყვეს და ყველა შინაური პირუტყვები სიფრთხილისათვის დახოცილ-იქმნენ.

**პეტერბურგის ბირჟა 18 აგვისტოს**

| | მყიდველნი. | გამყიდველნი | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | 96 | — | — |
| 4½°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 322 |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 275¼ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 209¾ |
| 3½°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | 88 | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | 97 | — |
| 4½°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | | 8½ კ. |
| სუკი . . . . . . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | 8½ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 5 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » 5 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » 6 | « |
| » » | II | » | » | » 4 | « |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოგზალზე: | |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. გ. | მ. გ., | |
| | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . . | 1 | —მ.—70 | კ. |
| სიმინდი . . . . | 1 | — 65 | —— |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | —— |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 65 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — 10 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — 25 | —— |
| ბზე. . . . . | 1 | — 23 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ. „ ფშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 75 კ. — 4 მ. — კ., გარეცხილი — მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო — მ. — კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, კლისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდდიუსტისა.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.